საქართველოს მთავრობის

დადგენილება №295

2011 წლის 26 ივლისი

ქ. თბილისი

იმ პირთა განსაზღვრის თაობაზე, რომელთაც შესაძლებელია გადაეცეთ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ – შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, რომ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 204470740) გადასცეს იდენტიფიცირებული ინფორმაცია – 1 000 ლარამდე საგადასახადო დავალიანების მქონე ფიზიკური პირის მიერ გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების შესახებ.

მუხლი 2. სს „კრედიტინფო საქართველო“ (ს/ნ 204470740) უფლებამოსილია, რომ კომერციულ ბანკს გადასცეს სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ გადაცემული იდენტიფიცირებული ინფორმაცია – 1 000 ლარამდე საგადასახადო დავალიანების მქონე ფიზიკური პირის მიერ გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების შესახებ.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 25 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**